# სამშობლო

კვირა 19 ივლისი
1915 წ.
წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს [illegible], დ ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 133 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 133

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.


ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით


გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



დასავლეთ საქართველოს მევენახეთა საზოგადოება „ალექსანდრეული“ ამა ხუთ ივლისიდან თფილისში დაიწყო ღვინით ვაჭრობა. რაჭა-ლეჩხუმის (ყიფიანას), სვირის, ქართლის, კახეთის და სხვა ღვინოები.
თფილისი, ოლღას ქუჩა, სახლი № 8. 5—5.

20 კვირკობისთვეს გადაცვალების თუთხმეტი წლის თავზე
ილია ლუკას მის ბახტამის
(ილია ხონელი)
სულის მოსახსენებლად, დაბა ხონის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და პატივისცემელთ მისი დედა, დები და ძმები. 1—1—519

Кутаисская женская гимназія
(Зарѣчный участокъ, Месхетская улица)
симъ объявляетъ, что съ предстоящаго 1915-16 учеб. года при названной гимназіи открываются младшее и азбучное отдѣленія приготовительнаго класса, а при VIII дополнительномъ классѣ, кромѣ специальности „русскій яз.“, еще спец. „математика“. Пріемныя испытанія для постороннихъ лицъ и переэкзаменовки для учениц начнутся 17-го августа с. г. 4—2.

ბრიუსელის უნივერსიტეტის სწავლა დამთავრებული ქართველი ქალი ასწავლის და ამზადებს ორივე სქესის მოწაფეებს ფრანგულ ენას.
პირობების შეტყობა შეიძლება „სამშობლოს“ რედაქციაში დილის 9 ს. 12 საათამდე. თ.

საშუალო სასწავლებლის უმცროს კლასებისათვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის ვამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

გაბრიელ იოსების ძე ექიმი გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი სნეულებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვების და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის უფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე.
ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქეცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

კერძო ექიმი მიხეილ კაშია კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას დებულობს დილის 7 საათ.
მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
საზაფხულო შენობაში.
ხუთშაბათიდან, 16 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება სურათი:
I.
სიკვდილის ტელეფონი.
სამ ნაწილათ, ინჟ. ბულვერის თავგადასავალიდან ვალტერ დიკენსის მონაწილეობით. ტურჩინსკის სცენარიუმი.
II.
მ. ი, უ. დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს მის დასაფლავება.
III.
მხიარული კომედია სიყვარულის ღმერთი მხიარული კომედია
ანონსი: ორშაბათიდან, 20 ივლ. ნაჩვენები იქნება: ცოდვის აჩრდილი.
სამ ნაწილათ. სამეფო თეატრის არტისტის ვ. ა. კორალლის მონაწ.


# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 17 ივლ. მთავარსარდლის შტაბისაგან. ნემანსა და ბუგს შუა 16 ივლ. მოწინავე რაზმების ბრძოლა იყო ბაუსკიდან მდ. მუშის მარცხენა ნაპირზე. ნემანის იქითა რაიონში მტერმა 16 ივლ. შემოტევა დაიწყო სუვალკის ჩრდილო-აღმოსავლეთით სოფ. კლენორეცთან. კოვნოს რაიონში მტრის მოწინავე რაზმი მოადგა ციხის მოწინავე ხაზს. ნარევზე სროლა წინანდებურ ხაზზეა. სოფ. კამენკასა და რკინის გზის შუა ჩვენ მტერი შევავიწროეთ. ნარევის მარჯვენა ნაპირზე სეროცკის ჩრდილოეთით ჩვენ მოვიგერიეთ იერიში. ვისლაზე მდ. რადომკას ორივე ნაპირზე მტერმა რამდენიმე ადგილას გადმოსხა მოწინავე ძალები მდინარის მარჯვენა ნაპირზე და ახლა სცდილობს მდინარეზე ხიდები გასდვას, ჩვენი ჯარი გადმოსულ მტერს უტევს, ჩვენმა მძიმე არტილერიამ დაანგრია მტრის ხიდი სოფ. კობილიცასთან. ვისლასა და ბუგს შუა მტერი უტევდა მდ ვეპრჟის ორივე ნაპირზე ხმელპიასკის მიდამოებში მოვიგერეთ მტრის იერიშები და დიდათ დავაზარალეთ. მაგრამ ვეპრჟის მარცხენა ნაპირზე მტერმა შესძლო ერთი დივიზიით წინ წაწევა, დაიპყრო სოფ. ტრავნიკი და შემდეგ აქედან გადავიდა ვეპრჟის მარჯვენა ნაპირზე. ვეპრჟსა და ბუგს შუა მოვიგერეთ მტრის იერიშები ქ. სოკალის რაიონში ჩვენ გამოვრეკეთ მტერი სანგართა ორი რიგიდგან და დავატყვევეთ 1000 კაცი. კამენკასთან მოვიგერეთ ავსტრიელების იერიშები.

შავ ზღვაზე ჩვენს ნაღმოსნებს სროლა ქონდათ ქ. შილის ბატარეებთან ბოსფორის მახლობლათ. ქვანახშირის რაიონში მოვსპეთ ქვანახშირით დატვირთული დიდი გემი და 47 იალქნიანი გემი.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** დღის ოფიციალური ცნობა. არტუაში ჩვეულებრივი სროლა იყო. აგრეთვე სუშეს სექტორში. არგონში, ბაგატელის რაიონში სანაღმო ბრძოლაა. სენტობერის მახლობლათ მელანკურის ტყეში ჩვენ ნაღმები ავაფეთქეთ გერმანელთა სადგომებთან. ვოგეზში ლინკენკოპფის პოზიციაზე ჩვენ ავბოჭეთ გერმანელთა 200 გვამი, ვნახეთ ორი ტყვიის მფრქვეველი და 200 თოფი. ბერენკოფთან გერმანელებმა დასტოვეს 400 მეტი მოკლული. ტყვეთ წამოყვანილთა რიცხვი 14—დან 15—მდი უდრის 201 კაცს.

საღამოს ოფიციალური ცნობა. ზღვიდან ვოგეზამდი სიწყნარეა. არტილერიის სროლა იყო სუშეს სექტორში, არასთან, სუასონთან, არგონებში მარიტერეზიასთან და ფოსანიუსთან. ვოგეზში ბანდესაპტთან ჩვენ ავიღეთ სახლების ახალი რიგი ლონჟუას დასავლეთით. სენდიესა და ტანში რამდენიმე ყუმბარა ჩამოვარდა. ბერენკოფთან გერმანელები ცდილობდენ დაკავებულ პოზიციების უკან დაბრუნებას, მაგრამ ჩვენ შევინარჩუნეთ მთელი აღებული ტერიტორია.

### ტრალერის ჩაძირვა.

**გრიმსბი.** 16 ივლ. ჩრდილო ზღვაში გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ტრალერი „დოვერი“. ეჭვობენ, რომ კომანდის 9 კაცი დაღუპულია.

### გერმანიის გემის ჩაძირვა.

**კოპენჰაგენი.** 16 ივლ. ორშაბათს, საღამოს ხუთ საათზე ინგლისის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა გერმანიის შეიარაღებული გემი „სენატორ ფონ-ბერგერი“ მცურავ მაიაკთან სამი. კაცი დაიღუპა, სამი აიყვანა წყალქვეშა ნავმა და 24 კაცი მაიაკზე გადარჩენ.

### საფრანგეთის წყალქვეშა ნავის ბედი.

**პარიზი.** 16 ივლ. საზღვაო შტაბი იუწყება, რომ დარდანელში მყოფ საფრანგეთის ფლოტს ცნობა არა აქვს საფრანგეთის წყალქვეშა ნავის „მარიონი“-ს შესახებ. „მარიონი“ 13 ივლ. სრუტეში შევიდა მარმარილოს ზღვაში სამოქმედოთ. ოსმალოთა წყაროებიდან იუწყებიან, რომ „მარიონი“ ჩაძირულია. 31 აფიცერი და კომანდის პირნი ტყვეთ არიან წაყვანილი.

### მიტილენის დაკავება.

**ათინა.** 15 ივლ. ბრიტანიის მთავრობამ ოფიციალურათ აუწყა საბერძნეთისას, რომ ის იძულებულია დაიკავოს კუნძული მიტილენი, იმავე სტრატეგიული მოსაზრებით, როგორც ეს კუნძულ ლემნოსის შესახებ მოხდა. გაზეთ „პატრის“-ის სიტყვით ხიოსის და მიტილენის წყლებში იმყოფება მოკავშირეთა ტრანსპორტი 70,000 კაცით, რომელიც მცირე აზიის ნაპირზე უნდა გადასხან.

**ათინა.** 16 ივლ. მოკავშირეებმა დაიკავეს მიტილენის კუნძული. ოსმალონი ამაგრებენ მარმარილოს ზღვის ნაპირებს გალიპოლამდე. აკეთებენ მავთულიან ლობით დაცულ სანგრებს და სდგავენ მძიმე არტილერიას.

### რ უ ს ე თ ი.

**პეტროგრადი.** 16 ივლ. ფინანსთა მინისტრს ებრძანა გამოუშვას მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე ხუთი-პროცენტიანი სესხი თითო ხუთასი მილიონით.

### დ ა რ დ ა ნ ე ლ ი.

**ლონდონი.** 17 ივლ. ბეჭვდითი სიტყვის ბიურო იუწყება, 11 ივლ. ბრძოლის შედეგი ისეთი იყო, რომ ოსმალეთის ჯარმა ჩრდილოეთისკენ დაიხია 25 მილით. მტრის დანაკლისი უდრის 62500 კაცს. ტყვეთ ჩავიგდეთ 690 კაცი, მათ შორის 41 აფიცერი. ვიხელთეთ მრავალი სამხედრო სურსათი, ერთი ზარბაზანი, 12 საველე და ორი სამთო ზარბაზანი, 300,000 თოფის პატრონა, ჩვენ დაგვეკარგა 564 კაცი.

### ცნობის უარყოფა.

**სტოკჰოლმი.** 17 ივლ. ბერლინის გაზეთები უარყოფენ შვეიცარიის გაზეთების ცნობას გერმანელთა და საფრანგეთის სოციალისტების კონფერენციის შესახებ.

## ჟურნალ გაზეთებიდან.

### რუსის ჯარის კაცების დაჯილდოვება.

**პარიზი.** ცერემონიის დროს ინვალიდის საკრებულოში გენერალმა კუზენმა სამხედრო მედალი გადასცა 8 რუსის უნტერ ოფიცერს და ჯარის კაცებს, რომელნიც გერმანიიდან საფრანგეთის საზღვარში გამოიქცენ. მუზიკა უკრავდა რუსულ ჰიმს.

**გაიგა.** გერმან. გენერლებმა უკრძალეს ბელგიელებს ეროვნული დღესასწაულის წლის თავზე ყოველგვარი დემონსტრაციები და ეროვნული დროშების გამოფენა. დამნაშავეთ ან 1000 მარკა გადახდება, ან სამი თვით იქნებიან დაპატიმრებული. მიუხედავათ ამისა, მეფის სასახლე ანტვერპენსა და ბრიუსელში პატარა დროშებში ყვაოდა მანიფესტანტები ქუჩაში დადიოდენ ბევრი მათგანი დაატუსაღეს.

„რ. ე.“

### კაიზერის უკანასკნელი დეპეში.

რუმინიის ჟურნალი „ეროს“-ი იუწყება იმ დეპეშის შინაარს, რომელიც ვილჰელმ მე-II-ემ გაუგზავნა თავის დას საბერძნეთის დედოფალს „გმადლობ თქვენ, ბულგარეთსა და რუმინიას. ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია“.

„ნ. ე.“

### რუსეთის მიმოსვლა.

10 ივლისს ცეცხლი გაჩნდა ვარშავის სადგურზე.

გუშინ პოლიციამ დეპეშები გაგზავნა ციხის უნცროსი ზედამხედველის თედორე გოვიანოვის მოსაძებნათ, რომელმაც სამი დღეა, რაც ციხე მიატოვა.

9 ივლისს მის იმპერატორებითი უდიდებულესობას წარუდგა გენერ. ადიუტ. კავალერიისა სუხომლინოვი.

11 ივლისს პეტროგრადში მოსკოვიდან ჩამოვიდა ახალი ობერ-პროკურორი წმ. სინოდისა ა.-დ. სამარინი.

### წითელი ჯვრის რაზმის ძებნა.

წითელი ჯვრის მთავარმა რწმუნებულმა გენ. ლეიც. ე. ნ. ბელკოვმა დეპეშით აუწყა მთავარ-გამგეობას, რომ ნაწილი სანიტარულ რაზმისა, რომელშიაც ირიცხებოდენ მოწყალების დებათ გრაფინია ზარნეკაუ, კარდაშევსკაია და სტ. სურინი. რ.-ათან ჩვენს უკან დახევის შემდეგ არ დაბრუნებულა. ფიქრობენ რომ ისენი მტერს ტყვეთ ჩაუარდათ ხელში. ყველა ზომები მოძებნისათვის მიღებულია. „დ.“

### ზინგერის მაღაზიების დახურვა.

**კიევი.** ყველა თერთმეტი მაღაზია და კანტორა ზინგერისა დაბეჭდილია.

**ჟიტომირი.** მთავრობის განკარგულებით გაჩხრიკეს და ბეჭედი დაადვეს ზინგერის კომპანიის მაღაზიებს და საწყობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ავსტრო-გერმანიის ოპერაცია.

„დენ"-ის 188-ში მოთავსებული წერილი შესახებ ავსტრო-გერმანიის ოპერაციებისა. სამხედრო ავტორიტეტების აზრით, ამბობს გაზეთი, გერმანელების ჯარს ორი მიზანი აქვს. ერთი მხრით ის ცდილობს გადმოვიდეს მიტავასა და შავლის შუა და ამით გაყოს ჩვენი ჯარი, ამ მიდამოში მდგარი. მეორე მხრით იანიშევიდან მტერი იწევს სამხრეთ აღმოსავლეთით, რომ შემოიჭრას ჩვენი რკინის გზის მიმოსვლის ხაზებში.

მიტავასა და რიგას შუა გერმანელები წინ არ იწევენ. ამით ჩვენი სამხედრო ავტორიტეტები არ ფიქრობენ, რომ მტერმა სრულიად დასტოვა რიგაზე ფიქრი. ამის მიზეზი უფრო ისაა, რომ ცხენოსანი ნაწილი გერმანელების ჯარისა თავისუფლათ ვერ მოქმედობს მიტავა-რიგას ჭაობებიან მიდამოებში. უნდა მივხვდეთ, რომ ამ მიდამოებისათვის გერმანელები სხვა ჯარის ნაწილს ამზადებენ, რომელიც შეუთანხმდება აქაურს სამხედრო ოპერაციებს. ნარევის ფრონტზე სასტიკი ბრძოლაა, უმთავრესი სამხედრო მოქმედების ცენტრათ დღეს დღეობით ითვლება ვისლისა და ბუგის შუა ფრონტი. ასეთ მდგომარეობაში კითხვა დგება, რატომ ჩვენი ჯარი არ გადადის იერიშზე. ამ კითხვაზე ჩვენი სამხედრო ავტორიტეტები ასეთს პასუხს იძლევიან:

— არის უმაღლესი მოსაზრება, რომელიც გამომდინარეობს მოკავშირეებთან ჩვენი სოლიდარობით, რომელთაც ასეთი იერიში დღის შეუძლებლათ მიაჩნიათ. მაგრამ ესეც, რომ არ იყოს, სხვა მიზეზებიც გვაკავებს. უკანასკნელ დროს საზოგადოებასა და პრესაში ბევრს ლაპარაკობენ, რომ ჩვენ ტყვიები საკმარისი არა გვაქვს. მოგერებისათვის ჩვენ ტყვიები საკმარისი მოგვეპოება, კერძო საიერიშოთაც გვყოფნის, მხოლოდ საზოგადო საიერიშოთ გვეჭირვება იმდენი ტყვია-წამალი, რომლის ეკონომია სრულიად დავიწყებული იქნება. საჭიროა ჯარმა იმდენი ცეცხლითა და ლითონით მოფინოს მტერი, რამდენსაც ის ჩვენთან ბრძოლაში ხმარობს. ამისთვის მთელი ჩვენი ჯარის იმედი დამყარებულია სამხედრო მრეწველობის მობილიზაციაზე. მხოლოდ მის მდგომარეობაზეა დამყარებული ჩვენი ჯარის მოქმედება. რამდენათ გაგრძელდება სამრეწველო მობილიზაცია, იმდენათ გრძელი იქნება აღნიშნული მდგომარეობა ჩვენი სამხედრო მოქმედებისა.

## სინოდის წარსული და მომავალი პოლიტიკა.

„ბ. ვ." მოთავსებულია მცირე შენიშვნა შესახებ წმ. სინოდის ობერ პროკურორის საბლერისა და დღევანდელი ობერ პროკურორი სამარინისა. ჩვენ ვწერდით, ამბობს გაზეთი, თუ როგორი მცირე სიმპატიით სარგებლობდა ვ. კ. საბლერი სასულიერო წოდების მიერ. და ამ მხრით საყურადღებოთ მიგვაჩნია მოვიყვანოთ სამღვდელოების სათათბიროში ორი წარმომადგენლის სიტყვები.

შესახებ ახალი ობერ-პროკურორის ა. დ. სამარინის მომავალ მოღვაწეობაზე.

**დეკანოზი პროფესორი ავ. სმირნოვი.**

ყაზანის უნივერსიტეტის ყოფილმა პროფესორმა და ახლად დანიშნულმა სღვთისმეტყველო კაფედრაზე პეტროგრადის უნივერსიტეტში ოქტომბრისტმა დეკანოზმა ა. ვ. სმირნოვმა შემდეგი გამოსთქვა:

— დამოუკიდებელი განვითარება ეკლესიისა მხოლოდ მაშინ არი შესაძლებელი, როცა თავისუფლათ მონაწილეობას იღებს საეკლესიო საქმეში მრევლი და თეთრი სამღვდელოება. ხომ აშკარაა, რომ თეთრი სამღვდელოება [და არა ეფისკოპოზები აკეთებენ საეკლესიო საქმეს. მე არ შეუდგები თეთრი სამღვდელოების ნაკლულოვანების აღნიშვნას. ვიცი მათი არა დადებითი მხარე, მაგრამ, რომ ავილოთ მისი არსებობა, გაკვირვებაში მოხვალთ, თუ როგორ შესძლო თეთრმა სამღვდელოებამ დღევანდელ სახის შენარჩუნება.

არის ერთი ღირსება სამღვდელოებაში. ეს ნიშანი შეიძლება ისტორიული მიმდინარეობის მონაბერი იყოს—მონური სული რუსის მღვდელისა შეიძლება ამის გამო იყოს, რომ სიემენარისტები არსად ხალხის ცხოვრეიაში არ იჩენენ შემოქმედობის ძალას, მაგრამ სამაგიეროთ ისინი მშვენიერი მუშაკნი არიან, აღზრდილნი მორჩილობაში, რომელნიც იჩენენ არაჩვეულებრივ სიმშვიდეს სულისას.

ასეთი სულის სიმშვიდე მართლმადიდებელ მღვდელისა გადაედვა რუსის გლეხსაც, რომელსაც დღეს ვხედავთ ჩვენს დიდებულ ჯარში. ამით მე არ მინდა დავმალო ის უზნეობა, რომელიც სუფევს ჩვენს სამღვდელოებაში.

არ დამავიწყდება ერთი მღვდლის ნაამბობი, რომელმაც გულახდილათ მაუწყა: „როცა მივადექი ნაწილების კვეთას, უნებურათ თვალს ვაყოლებდი, თუ რამდენი სებისკვერი მოიტანეს"-ო.

ასეთიდემორალიზაცია—ყველა თავისუფალ პროფესსიის ხვედრია. ორთა-შუა რიცხვით მართლმადიდებელი მღვდელი ღებულობს გროშებს, მაგრამ რადგან მას საქმე აქვს ღარიბ გლეხებთან, ამისათვის გავრცელდა მაზე ხმა, რომ ის კვდარსა და ცოცხალს ატყავებს.

მღვდელს რომ ნორმალურ პირობებში ცხოვრება შეძლებოდა, ის მისწვდებოდა ქრისტეს მცნების იდეალს და მას შეაგონებდა ხალხს.

ამ თვალსაზრისით პირველი კითხვა იმაშია, რომ ჩამოეხსნას სამღვდელოებას ეგ უღელი, რომელიც მას დღემდე კისერზე აძევს, საჭიროა ძირიანად გადასწყდეს მწვავე საკითხი ეპისკოპოსის და თეთრი სამღვდელოების ურთი ერთ დამოკიდებულებისა. მათ შორის უნდა არსებობდეს რწმენა, სიყვარული და მოისპოს ეპისკოპოზების ფართო უფლების წარმოდგენა, რომელნიც ცხოვრობენ სრულიად მათვის შეუფერებელ პირობებში. სასულიერო წოდებში მოითხოვენ საეკლესიო კრებას. მე ვფიქრობ რომ ეს ნაადრევია.

კ. საბლერზე ვიტყვი: როგორც ობერ-პროკურორი ის სრულიად თავის ადგილზე არ იყო. მას არ ესმოდა მართლმადიდებლობის დედა აზრი. არც შეეძლო გაეგო, რადგან ეს მის სისხლში არ იყო.

რაც შეეხება ახალ ობერ-პროკურორს, ჩვენ ვიცით, რომ ის წარმომადგენელია სლავიანთა უკეთეს მიმდინარეობისა. და თუ საეკლესიო საქმეში დაადგება იმ გზას, რა გზაზედაც სლავიანოფილები იდგენ, რასაკვირველია, ეს ყველას აჯობებდა, რომელზედაც მხოლოდ ოცნება შეიძლება.

**დეკანოზი ფ. დ. ფილონენკო.**

ცენტრის ჯგუფის წარმომადგენელი ფ. დ. ფილონენკო, რომელმაც თავის დროზე სათათბიროს ტრიბუნიდან წარმოსთქვა ცნობილი სიტყვა სამღვდელოების დამცირებაზე და გრიგორ რასპუტინის როლზე, ეგრე ახასიათებს ყოფილ ობერ-პროკურორს:

— მე არ ვეკუთვნი პაბელანსცევის თაყვანის მცემელთ, მაგრამ არ შემიძლია უარვყო მისი დიდი ჭკუა და ფილოსოფიური თვალთახედვა, სულით კი ის იყო უმნიშვნელო პიროვნება ტიპიური წარმომადგენელი პეტროგრადის მოხელეებისა. არ ვიცი, აქცევდა თუ არა ვინმე ყურადღებას კ. პ. რომლერის ქცევას სათათბიროს კომისსიაში.

— როგორ განმარტებას გვაძლევდა იგი ჩვენ? თუ რამე კარგი მოხდება ის ამასა თავის თავს აწერდა, თუ რამე ცუდი—ეფისკოპოზებზე აბრალებდა. არასოდეს რუსის ეკლესიას ის არ განუცდია, საბლერის დროს.

ამ ოთხი წლის განმავლობაში ის წინ ეღობებოდა ყველა ნათელს და უკეთეს მისწრაფებას ჩვენი ეკლესიისას. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ბევრი უკმაყოფილო იყო პეტროგრადის ამ ტიპიური ბიუროკრატის პოლიტიკით, მაგრამ მკვდარსავით სდუმდენ?

იმ კითხვაზე—თუ როგორი გზა უნდა ამოირჩიოს ახალმა ობერ-პროკურორმა უწმ. სინოდისამ,—ფ. დ. ფილონენკომ უპასუხა:

— პირველ ყოვლისა, მე მოვითხოვე ახალი ობერ-პროკურორისაგან გულ-წრფელობას. ასეთი სულიერი ღირსება თუ მეტია, საგარეო საქმეთა მინისტრისათვის, საეკლესიო საქმეში ის მიუცილებელია.

შემდეგ მე მსურს, რომ მან აირჩიოს ახალი გზა და პირდაპირ გვითხრას მოწვეული იქნებ თუ არა საეკლესიო კრება, რადგან მხოლოდ საეკლესიო კრებისაგან მოველი მე მართლმადიდებელი ეკლესიების აღდგენას.

რაც შეეხება უწმ. სინოდს, ვიტყვი, რომ მის კრებებში მონაწილეობის მისაღებათ მოწვეული უნდა იყვნენ თანახმათ რეგლამენტისა, თეთრი სამღვდელოების წარმომადგენელნი და აგრეთვე, საზღვაო და სამხედრო პროტოპრესვიტერები, ობერ-პროკურორი თავის მოვალეობას უნდა ასრულებდეს. ის უნდა იყოს ხელმწიფის თვალი და ყური და არა მართლმადიდებელი ეკლესიის ბედის გადამწყვეტი. ეკლესია ყოველ პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს.

## ომიანობა და ქალი.

(დასასრული იხ. 132-ე №)

საშუალო საუკუნეებში, ფეოდალიზმის დროს, როცა რაინდობა და რაინდული ზნე ჩვეულება იყო გამეფებული, როცა ომი მხოლოთ მამაკაცთა ხელობათ გადიქცა, მაშინ ქალი მაღალ კოშკის ციხე-დარბაზის სარკმლიდან გადმოჰყურებდა მეომარ თავგანწირულ ვაჟკაცს და თავისი მომხიბლავი ჭვრეტით ამხნევებდა ღ ალომგულებდა მას.

ქაჯეთის ციხეში მოწყვდეული ნესტან-დარეჯანის „მზეთ უნახაობა" და მისი საიდუმლოთ ციხის სარკმლიდან ჭვრეტა იმდენათ ძლიერი და გამამხნევებელი იყო, რომ ქაჯეთის მიუვალი იგი ციხე მხოლოთ სამმა ლომგულმა ვაჟკაცმა—ფრიდონმა, ავთანდილმა და ტარიელმა შელეწა და იქედან მიჯნური, ტარიელის მზეთა-მზე გაათავისუფლა.

როგორც ხედავთ, ამ ეპოქის ქალი ომიანობის ზე გავლენით ახალ თვისებას იძენს.

ეს არის მეომარ მამაკაცის, მებრძოლის შორიდან წაქეზება, გამ[illegible] [illegible]ჯვებისთვის თავისი ალერსისა და ტრფ[illegible]ბა-ხვევნის დაპირება.

აქედან ჩაენერგა ქალს, ვფიქრობთ, წამქეზებლობის, მდაბიურათ—„გახელების" განვითარებული მიდრეკილება, რასაც ოჯახურ ცხოვრებაში დღეს დიდი ზიანი მოაქვს.

სხვაც ბევრი რამ ავი და კარგიც წარმოსდგა ქალის კოშკებში მომწყვდევის და მზეთ-უნახაობის გამო, მაგრამ ამის ანალიზს აქ ვერ გამოუდგებით, აქ აღვნიშნავთ მხოლოთ ერთს, სახელდობრ იმას, რომ მაშინდელი დროის ომიანობის, თუ რაინდობის გამრყვნელ ცუდ გავლენას აშორებული იყო მხოლოთ გლეხის, მიწის მუშის ქალი, რომელსაც შერჩა ძველი დროის ქალების მეტი გამბედაობა, ვაჟკაცობა, ბრძოლის ინსტიქტი და სხვა.

ასეთი იყო ომის გავლენა წინათ ქალზე, მაგრამ ჩვენთვის უფრო საყურადღებოა ვიცოდეთ, თუ რა გავლენას ახდენს დღევანდელი ომი მასზე ან რას უნდა მოელოდეს მისგან ქალთა სქესი?!

უცხოეთის ერთმა კორესპოდენტთაგანმა ამ უკანასკნელ დღეებში მკითხველთ აუწყა, რომ გერმანია „ქალთა მობილიზაციას" შეუდგა; გეხსომებათ აგრეთვე, რომ ამ რამდენიმე თვის წინათ გაზეთებში სწერდენ, რომ ქალები საფრანგეთში და რუსეთშიაც მამაკაცის სამუშაოს ეწევიან შინ და გარეთ; გაზეთებიდან ისიც გეცოდინებათ, რომ დღეს საფრანგეთში ვექილი ქალი ორ-ჯერ მეტია, ვიდრე კაცი. ასე და ამრიგათ, როგორც ხედავთ, დღევანდელმა ომმა ქალი შრომის ყოველგვარ დარგში გამოიყვანა, გაამრავლა და ლამის გაბატონოს კიდეც.

რას ნიშნავს გერმანელების „ქალთა მობილიზაცია„?

ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანიას მამაკაცი მხოლოთ მოწინავე პოზიციებზე სჭირდება, ხოლო ჯარს უკან, შინ ყოველივე საქმე და სამუშაო ქალმა უნდა იკისროს.

კარგა ხანია ასეთ გზას ადგიან მეომარი სახელმწიფოები და უნდა ვიფიქროთ, რომ გერმანიასთან ერთათ სხვებიც ბოლომდე მიიყვანენ ამ საქმეს და ისინიც მალე, მრეწველობის მობილიზაციასთან ერთათ ქალთა მობილიზაციასაც გამოაცხადებენ.

ამ გზაზე ინგლისი და საფრანგეთი კარგა ხანია შესდგა, ახლა ჯერი რუსეთზეა მიმდგარი; ვნახოთ, თუ რას გვეუბნება ცნობები ამ მხრით.

რას ვკითხულობთ გაზეთ „რუს. ვედ." № 3152. „საზოგადოთ რუსეთში ქალი

---

1870—1871 წ.

## პარიზის ალყა.

### შთაბეჭდილებანი და მოგონებანი ფრანცუსქ სარსესი.

(ფრანგულიდან)

1870 წ. 19 ივლისს პრუსსიას ომი გამოუცხადეს. ვიგონებ ერთს შემთხვევას, რომელიც მოხდა 22 თუ 23 ივლისს. ვსადილობდით დიდსა და საყვარელს კამპანიაში, ვსაუბრობდით, რასაკვირველია, ახლათ დაწყებულს ომზე, რადგან იმ დღეებში სხვა საგანზე საუბარი არ ხერხდებოდა. ერთი მოსადილეთაგანი დიდ ხანს მდუმარეთ გვისმენდა ჩვენგან წარმოთქმულ მრავალ იმედს, და გამარჯვების მოლოდინს. უცბათ მან დაარღვია სიჩუმე და სერიოზულათ გვიპასუხა:

— ბატონებო, მე ვცხოვრობდი გერმანიაში არა მცირე ხანს და მას ძრიელ კარგათაც ვიცნობ, ვიცი მისი ძალა და ჩვენიც. გსურთ დავნიძლავდეთ? არ გავა ორი თვე,—რომ პრუსაკები პარიზის კედლებს მოადგებიან!

ღმერთო, რა უცნაური ხმაურობა ასტეხა ამ ავი წინასწარმეტყველის სიტყვებმა! დაიყვირეს, რომ ის ცუდი ფრანგია, რომ ის პრუსიელია და ბისმარკის ჯაშუში. ეს სიტყვები წარმოითქვა უბოროტოთ, რომელთაც ფრაზა პრუსიელების პარიზში შემოჭრისა მიაჩნდათ უბრალო გასართობ პარადოქსათ, რომლითაც მოკამათეს სურდა აზრის ორიგინალობის გამოჩენა.

მართლაც, ეგ უცნაური აზრი პარიზის ალყის შემორტყმისა რეინის აქეთა მხარეს არავის თავში არ მოსდიოდა.

პარიზი! მარტო ეს ერთი სიტყვა, ყველა ჩვენგანისათვის წმინდა და შეუგინებელი იყო. ტასტი ცივილიზაციისა და, როგორც ძველათ ბერძნები იტყოდენ ხოლმე, „ჭიპი დედამიწისა". ვის უნდა გაებედნა მისი სამტროთ მოკარება, რომელ ხალხს შეეძლო ასეთი სიწმინდის შეგინება?

ბერლინი კი სულ სხვა საქმეა! ჩვენ სრულად ბუნებრივათ მიგვაჩნდა იქ შეჭრა სამი, ოთხი დიდი გამარჯვების შემდეგ, ბარაბანის დაკვრითა და დროშების ფრიალით.

დე—ჟირარდენის სტატია, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში, მაინც მნიშვნელოვანი იყო გვაუწყებდა, რომ ჩვენ უნდა გაგვერეკა ეგ ვანდალები თოფების კონდახებით ბერლინამდე. ამ სიტყვებით ჟურნალისტმა მთელი პარიზის აზრი გამოსთქვა. არა ვფიქრობ, რომ ომი პოპულიარული იყო ჩვენში დასაწყისში. მაგრამ, რადგან ყველამ იცოდა, რომ ის აუცილებელი იყო და ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო ძრიელ ჩქარა შეურიგდენ მას.

— სჯობს ეხლავე მოხდეს,—ეუბნებოდენ პარიზელები ერთმანეთს. თვით მთავრობის მისწრაფება, რომელმაც სულ უბრალო მიზეზისა—გამო საქმე უკიდურესამდე მიიყვანა ამშვიდებდა ხალხს. ყველა ფიქრობდა, რომ მთავრობა საამისოთ მომზადებული იყო, სწამდათ ომის სიადვილე. და ზამთრამდე ჩვენ უკვე ბერლინში ამოვყოფდით თავს.

— ბერლინში, ბერლინში!

აგრე გასძახოდენ პარიზიდან ელზასში მიმავალს ჯარის კაცებს, რომელთაც „მარსელიეზას", „სიკვდილი სამშობლოსთვის" და სხვა პატრიოტულ სიმღერით აცილებდენ სადგურამდე. ვიყავით კი ჩვენ გულახდილი და პატიოსანი თვით ჩვენი თავის წინაშე! გვსურდა კი ნამდვილათ აგრე გულით ომი, როგორც ამას გამოსთქვამდენ ქუჩის მყვირალნი? ეს კითხვა ჯერ კიდევ გაურკვეველია.

მე კი ვფიქრობ, რადგან ხელთათმანები გადააგდეს, მცხოვრებთა უმრავლესობა დაემორჩილა იმ მეომარ სულის კვეთებას, რომელიც არსებობს ყველა კეთილ ფრანგში. ჩვენში დაფნის გვირგვინებზე არავინ უარს არ აცხადებს და წინანდელი ომების მაგალითები, რომელნიც გათავდა საკმარისი სიჩქარით და საკმარისი დიდებით გვიორკეცებდა ჩვენს სამხედრო უპირატესობისადმი რწმენას. ჩვენი დაუძლეველი ჯარი! ჩვენი გმირი ჯარის კაცნი! ჩვენი ძველი აფრიკელი გენერლები! ამ სიტყვებით იყო გაჟღენთილი ჰაერი ქუჩებში და ბულვარებში. არ მოიპოვებოდა ისეთი მშვიდობის მოყვარე ბურჟუა, რომელსაც არ შეყვარებოდა თავის წამლის სუნი. ზოგიერთებმა დროშები და ფარნებიც მოამზადოს ილიუმინაციისთვის.

თეატრში ჩამოუშვებდენ თუ არა უკანასკნელად ფარდას, გაისმოდა ხმა მაღლა ძახილი: „მარსელიეზა!"

თეატრის ადმინისტრაცია უკვე მოელოდა ამ ყოველ დღიურ პატრიოტულ მანიფესტაციას და მზათ იყო.

ფარდა ისევ აიხდებოდა და არტისთა ჯგუფი შეუდგებოდა პატრიოტულ ჰიმნის მღერას. ერთი ვინმე დამსწრეთაგანი უთუოთ დაიყვირებდა: „ადექით! ადექით!". და მთელი დარბაზი ფეხზე დამდგარი შეუერთებდა ხმას არტისტების სიმღერას. ასეთს ყოველდღიურ ცერემონიას დასაწყისში გრანდიოზული ხასიათი ჰქონდა, რადგან ის იყო გამოწვეული მოულოდნელი და უშუამავლო ლტოლვით. ეს მოხდა „ოპერა"-ში. აფიშებში არ იყო გამოცხადებული, რომ იმ ღამეს იმღერებდენ „მარსელიეზას", მაგრამ მთელმა პარიზმა იცოდა, თუ ხალხი მოითხოვდა, მარი-სასსი მას იმღერებდა. ოპერა „მუნჯი"-ს მესამე აქტში, როდესაც მშვენიერმა არიამ: „სიყვარული წმინდაა სამშობლოსადმი", ჩვენი გულის სიმები დაზიდა მთელი თეატრი ყვირით შეირყა.—„მარსელიეზა", „მარსელიეზა"!

წმინდა ჰიმნი დაიწყო. „ადექით"! გაისმა სასტიკი და მრეკავი ხმა. ყველამ იცნო ხმა დე—ჟირარდენისა. ხალხს თითქო ელექტრონის ტოკი მოხვდაო, როგორც ერთი კაცი ფეხზე დადგა. მთელი დარბაზი გამოუთქმელმა მღელვარებამ შეიპყრო, ბევრი ატირდა, დანარჩენს ცრემლები მოურბოდა თვალებზე. აქ არავითარი ზაზოგადო აზრის გავლენა არ იყო. ამ ხალხს გარკვეული აზრი არ ჰქონდა. ეს იყო მხოლოდ გაურკვეველ გრძნობათა აფეთქება, რომელშიაც მებრძოლი შოვინიზმი გადახლართული იყო ბავშურ რწმენასთან ერთად. მხოლოდ სულ უმცირესობას ეტყობოდა გულგრილობა, მხოლოდ მათ შეეძლოთ ომის შანსის გამოანგარიშება, რადგან იცოდენ ორივე ერის ძალა.

ამ პირთ საერთო ენტუზიაზმის დროს ღრმა მწუხარება ეტყობოდათ სახეზე, და გულში უტრიალებდათ საბედისწერო წინათგრძნობა, რომლის გამოთქმისათვის ისინი ქვებით ჩაიქოლებოდენ.

მე პირადათ ვიცნობდი რამოდენიმეს, შეიძლება მათი რიცხვი მეტიც იყო, რომელნიც პატრიოტიული მოვალეობისა და სიფრთხილისა გამო მწუხარეთ სდუმდენ, როცა უმრავლესობა იმედებით ცაში ფრინავდა.

ასეთი აღმაფრენა 17 ივლისიდან აგვისტოს პირველ რიცხვამდე გაგრძელდა. მას წაემატა, რაღაც ნერვიული მოუთმენლობა, რომელსაც ვერ ამშვიდებდა ჟურნალისტებს რჩევა დაპირდა.

— ეს რა ამბავია,— იძახდნენ,—აგერ ორი კვირაა, რაც ომი გამოცხადდა და ჩვენ კიდევ არ აგვიღია მაინცი ნეტავ რას უცდიან ჩვენი ძველი აფრიკელი გენერლები, რას ციქრობენ ჩვენი გმირი ჯარისკაცები? ღირდა განა რუქების ყიდვა. პარიზელებისათვის ჩვეულებრივი საშვალებაა რუქების ყიდვა ომში მონაწილეობის მისაღებად. ჰოი; რამდენი გაიყიდა იგი ამ ორ კვირაში. რასაკვირველია, გერმანული რუქები, რადგან სხვა არ იყო. გრძელი ქინძისთავებით შეიარაღებულნი პარიზელები აღნიშნავდენ მებრძოლი ჯარის პოზიციებს და დაუწყებდენ ამ ჯარს ქაღალდის ფურცელზე ტარებას. და ერთხელაც არ აჩერებდენ სტრატეგიულ პლენების აღსრულებას; გადადიოდენ მდინარეებზე, მთებზე ზღაპრული სისწრაფით იღებდენ გამაგრებულ ქალაქებს. ჩაარჭობდენ თუ არა ქინძისთავებს სამფერადი დროშა უკვე ფრიალებდა ტრირზე, მაინცზე და კელნზე. არაფრათ არ უღირდათ ესეთი დროშის აფრიალება ბერლინის კედლებზედაც. ეგ სამხედრო ოპერაციები იმდენათ ადვილად მიაჩნდათ, რომ სრულიად არ ანგარიშობდენ მას, თუ რამდენი დრო დასჭირდებოდა სამასი ათასი კაცის შეგროვებას გერმანიაში გადასაგდებათ.

აგვისტოს დასაწყისში უკვე სწყრებოდენ, რომ არც ერთი დიდი გამარჯვება არ მოხდა. ჰო, რომ სცოდნოდათ მათ, თუ რა მოელოდა ამ ჯარს, რომელსაც ყავდა ისეთი ცუდი წინამძღოლი, რომელთაც ქონდათ ცუდათ მოწყობილი სურსათი, ცუდი შეიარაღება, სადაც შინაგან ავათმყოფობასავით ბუდობდა უდისციპლინობადა უფროსებისადმი სიძლი.

რასაკვირველია, მომქმედ ჯარში იყვნენ კორესპოდენტები, რომელთაც შეეძლოთ სიმართლის თქმა ჩვენთვის, მაგრამ მათ მზრუნველობით შორს იჭერდენ შტაბიდან. და ზოგი კი თავის საკუთარ თვალებს არ უჯეროდა, და როგორც ყველა ფრანგში, მათში ძლიერი იყო სამხედრო ფორმისა და დროშებისადმი პატივისცემა აი, ამისათვის დავრჩით ჩვენ ტკბილს ილუზიებში და საარბრუკთან გამარჯვების ხმამ კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი თვით-განდიდება.

იმპერატორმა აუწყა თავის მეუღლეს, რომ პატარა ლუიმ,—მომავალმა მემკვიდრემ, მის ფეხის წინ დავარდნილი ტყვია

ყოველგვარ შრომას მიაწყდა ამ ომის დროს, განსაკუთრებით კი სალითონო წარმოებაში; მუშა ქალების რიცხვი ისეთ ქარხნებშიაც კი გამრავლდა, სადაც წინათ ან ძალიან მცირე რიცხვი იყო ან და ქალს სულ არ ამუშავებდენ...

დახელოვნებული მუშების ერთი ნაწილი ჯარში გაიწვიეს, ხოლო მეორე ნაწილი სოფლისაკენ გაეშურა, რომ უპატრონოთ მიტოვებულ სახლ-კარობას მიშველებოდა. ამიტომ ქარხნები დაცარიელდენ და სამუშაო დაზგები უპატრონოთ დარჩნენ და აი ამ დაცლილ ასპარეზზს მოაწყდენ ქალებიც და სოფლელი მამაკაცებიც. მექარხნეები პირველ ხანებში ქალებს ძალიან უფრთხოდენ და თუ იღებდენ მათ სამუშაოთ, მხოლოთ უბრალო და მძიმე სამუშაოზე—დაზგებს არ აკარებდენ: მაგრამ როცა დაინახეს, რომ ქალაქელი ქალი უმეტესათ წერა-კითხვის მცოდნეა და რთულ სამუშაოს სოფელზე უკეთ ასრულებს, მაშინ სინჯეს და მათ დაზგებიც ჩააბარეს; აღმოჩნდა, რომ ქალები კარგი მუშები ყოფილან და მასთან, რაც მექარხნეებს უფრო აინტერესებს, მამაკაცებთან შედარებით მეტ ეკონომიურ სარგებლობას იძლევიან.

ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, მექარხნეებმა სიხარულით იწყეს ყოველგვარ სამუშაოზე ქალების მიღება.

მუშა ქალები მალე გაჩნდენ მექანიკურ ქარხნების საზეინკლოში, სახარატოში და **სამჭედლოურშიაც კი...**

ახლა ბევრია ისეთი ქარხანა, სადაც მუშა ქალთა რიცხვი 20—25 პროც. აღწევს, მაშინ, როდესაც ამ ქარხნებში წინათ ერთი ქალიც არ მუშაობდა...

ერთი სიტყვით, აშკარაა ტენდენცია, რომ **ყველგან ყოველ დარგში მამა-კაცის ძვირფასიან მუშა ხელს ცვლის ქალის იაფ-ფასიანი შრომა**".

ყველაფერი ეს გამოიწვია დღევანდელმა ომმა: **მან ქალს, ერთი დაკვრით გზა გაუხსნა ყოველ-გვარ შრომისაკენ;** და თუ პირველ-ყოფილ ქალს საშინაო, საოჯახო შრომამ უაღრესი ჰუმანიზმი, სათნოება და ტკბილ ნარ-ნარი სინაზე შესძინა, ახლანდელი საზოგადოებრივი შრომა მას უთუოთ აამაღლებს, კიდევ უფრო გააკეთილშობილებს და მასში უმაღლესი სოციალური ღირსებებით შემკულ ადამიანს შექმნის: იგი მამაკაცს სოციალური მხრით და მაშასადამე ბევრ რამეში ბუნებითა და ხასიათით სრულიათ გაუთანასწორდება.

გათანასწორებული ეკონომიურათ, იგი მამაკაცთან ერთათ, პოლიტიკურათაც გათანასწორებას მოითხოვს და ეს იქნება დღევანდელი ომის ერთ-ერთი სასურველი შედეგი.

**დ—ელი.**

# ომის წლისთავი.

დღეს შესრულდა ერთი წელიწადი, რაც ევროპის ერები იარაღით ხელში მსოფლიო გეგემონიისათვის იბრძვიან.

თუმცა ომი თითქმის და განსაკუთრებით ევროპის ტერიტორიაზედ წარმოებს, მაგრამ საკითხები, რომლებიც უნდა გადაწყვიტოს მან, ეხება ყველა კუთხეს დედა მიწისას. რაც კი ნაპოლეონის ეპოქის შემდეგ ევროპას საკითხები აღუძრავს, სულ ყველამ ეხლა იყარა ერთათ თავი და ბევრი პატარა ერები დიდ სახელმწიფოებთან ერთად მოელიან ამ ომის შედეგებს. ზოგიერთ მათგანის ბედი ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ ომთან, რომ მათი დამოუკიდებელი და ეროვნული ცხოვრება შესაძლოა მხოლოდ ერთი მხარის გამარჯვებით. ამის მაგალითად პოლონეთს და ბელგიას მოვიყვანთ.

ომის ბალანსის მოხდენა კარგი იქნებოდა, მაგრამ საუბედუროდ ამისათვის საჭირო არის, უტყუარი საბუთები და მასალები ხელს გვეყროს. ეს წელიწადი მდიდარია ყოველივე დიდ მოვლენებით, მაგრამ ჩვენ ამ მოვლენების მხოლოდ ნაწილი გვაქვს გაგებული, სხვების გაგებას კი მთავრობა შეუძლებელად ხდის მთავრობა ამას იმ მოსაზრებით ჩადის, რომ ეროვნული თავდაცვა უფრო უზრუნველჰყოს და საშვალება არ მისცეს მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა აგენტებს ამ ცნობით ისარგებლონ.

ამის თქმა კი შეგვიძლია, რომ თუმცა და ომი ერთი წელიწადია სწარმოებს, მაგრამ გადაწყვეტით ვერავინ ვერ გეტყვის, როგორ დაბოლოვდება იგი. ორივე მხარე ირწმუნება, რომ გამარჯვება მე დამრჩებაო და გამოდის, რომ ჩვენ თითქმის იმავე გამოურკვეველ პირობებში ვართ, როგორც ომის დაწყების პირველ დღეს ვიყავით, გამოდის რომ ამ წელიწადს ჩვენთვის არაფერი არ მოუტანია. ეს კი გამოარკვია ამ ომმა რომ გერმანია მართლაც დიდი მილიტარული იმპერია ყოფილა და ჩვენ მის ნამდვილ ძალას თურმე არ ვიცნობდით, და ამ გარემოებამ სამთა შეთანხმების სახელმწიფოებს რამოდენიმეჯერ გამოაცვლევინა თავის მოქმედების გეგმა, მოკავშირეები ამბობდნენ:

„ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ მისთვის რომ ჩვენ რიცხვით მეტი ვართ და უბრალო ანგარიში იმას გვიჩვენებს, რომ გამარჯვება ჩვენი უნდა იყოს". როდესაც ეს მოსაზრება არ გამართლდა, მაშინ მოკავშირეებმა სთქვეს:

„ჩვენ გავიმარჯვებთ მისთვის, რომ გერმანიას საჭმელი არა აქვს და თუ შიმშილით მოკვდა, ნათელია რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება." როდესაც ეს მოსაზრებაც სავსებით არ გამართლდა მაშინ, მოკავშირენი ისევ პირველ გეგმას დაუბრუნდნენ, ესე იგი გამარჯვებას ძალის სიდიდით.

გერმანია ომის დაწყებიდანვე ერთ აზრს ადგა და ლაპარაკობდა: ჩვენ გავიმარჯვებთ მისთვის რომ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ". ამ სიტყვა „უნდა"-ში გამოიხატება მთელი ეროვნული მისწრაფება გერმანიისა. მხოლოდ მის ასეთ მისწრაფებას შეეძლო შეექმნა იმგვარი მხედრობა, რომელიც სამ და ოთხ ფრონტზედ უძლიერეს მტრებთან თავგამოდებით გამოდის.

ამის წინად საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრომ გამოაქვეყნა ის საიდუმლო საბუთები, რომლებიც მას ხელში ჩაუვარდა თავიანთ სპეციალურ აგენტების საშუალებით და რომელიც შეეხება გერმანიის ომის წინასწარ მზადებას და თითქმის ეს პატარა დოკუმენტი უნდა ჩაით[ვა]ლოს გერმანიის ეროვნულ პროგრამათ.

ამ დოკუმენტთან მისთვის უფრო საინტერესო არის გაცნობა, რომ ის საშუალებას გვაძლევს დავინახოთ თუ რამდენად ახერხებენ გერმანელები მიაღწიონ ერთხელვე დასახულ მიზანს. ეს ცირკულიარი გერმანიის მთავრობამ დაუგზავნა ამ ორის წლის წინად თავის საელჩოებს და დიდი ცენტრების კონსულებს, რათა მათ შეძლება ქონდათ თავიანთი მოქმედება შეეფარდებინათ საერთო ეროვნულ პოზიციას. აი ეს დოკუმენტიც:

**ბერლინი 19 მარტი 1913 წ.**

—

მიზანი და მოვალეობა ჩვენი ეროვნული პოლიტიკისა ჩვენ მხედრობისა და იმ ორგანოთა, რომლებიც მხედრობასთან ერთათ მოქმედებენ.

—

ჩვენი ახალი მილიტარული კანონი არის მხოლოდ გაგრძელება იმ შრომისა, რომელიც ჩვენმა მამა პაპებმა დაიწყეს ეგრე თავგანწირულად. ჩვენი უწმინდესი მოვალეობაა დავლესოთ ხმალი, რომელიც ხელთ მოგვცეს და ყოველ ჟამს მზად ვიქონიოთ, როგორც თავის დასაცავად ეგრეთვე მტერზედ დასაცემადაც. უნდა ხალხში გავავრცელოდ ის აზრი, რომ ჩვენი შეიარაღების გაძლიერება არის შედეგი საფრანგეთის პოლიტიკისა. უნდა მივაჩვიოთ ხალხი იმ აზრს, რომ შეტევითი ომი ჩვენი მხრით იქნება არის საჭიროება ჩვენი მოწინააღმდეგე რომ არ დაგვეცეს თავზედ.

უნდა ვიმოქმედოთ ფრთხილად, რომ ხალხში ეჭვები არ გავაღვიძოთ. და ავიშოროთ ყოველივე რაც ჩვენ ეკონომიურ ცხოვრებისათვის მავნებელი იქნება. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ შეიარაღების დიდი ტვირთის მოსაშორებლათ ომი ხალხისათვის სასურველიც გახდეს იმ იმედით, რომ ომის შემდეგ დადგება გერმანიისათვის იმგვარი ხანა აღორძინებისა, როგორც 1870 წლის ომის შემდეგ. უნდა მოვემზადოთ ომისათვის ფინანსიურის მხრითაც კი.

ჩვენ კოლონიების ბედი არ უნდა გვაწუხებდეს. ბედი ბატონობისა დედა მიწაზედ ევროპის ბრძოლის ველზედ გადაწყდება. ომის დროს უნდა ვეცადოთ დავბადოთ არეულობები ჩრდილოეთ აფრიკაში და რუსეთშიდ. ეს ერთი საშვალებათაგანია, რომელიც შთანთქავს მოწინააღმდეგის ძალას. მაშასადამე აუცილებელი საჭიროებაა, რომ ჩვენ კავშირი ვიქონიოთ) და გავლენიან პირთა არჩეულ ორგანოების საშუალებით ეგვიპტეშიდ, ტუნისშიდ, ალჟირშიდ და მაროკოში, რომ იქაც მზად იყვენ შესაძლებელ ევროპის ომის დროს. რასაკვირველია ომის დროს ჩვენ გამოვტყდებით ჩვენ საიდუმლო მოკავშირეების არსებობაში, და იმათ დავაიმედოვნებთ ზავის ჩამოგდების დროს მოპოვებულს უპირატესების შესანარჩუნებლად.. აჯანყებებს, რომლებიც ჩვენმა პოლიტიკურმა აგენტებმა უნდა მოაწყონ მატერიალურადაც, უნდა უწყობდეთ ხელს იარაღითაც, ამბოხებულ მხარეებში აჯანყებებმა უნდა იფეთქოს ერთ დროულად ყველა კუთხეებში მისვლა მოსვლის საშვალების მოსპობის გამოწვევით. მათ უნდა უძღოდეთ გავლენიანი ადგილობრივი პირები, რომლების პოვნა შეიძლება პოლიტიკურ და რელიგიურ მეთაურებთა შორის. ეგვიპტე ამისათვის მაგალითია, მისთვის რომ ის აერთებს მთელ მოაზროვნე მახმადიანთა და არის მატარებელი მათ მისწრაფებათა.

როგორც უნდა იყოს ჩვენ გვინდა დიდი ძალა რომ გავიმარჯვოთ ჩვენ მტრებზედ აღმოსავლეთიდაც და დასავლეთიდაც. მომავალ ევროპიულ ომში საჭირო არის, რომ პატარა სახელმწიფოები იძულებული გახდენ, რომ ჩვენ მოგვყვენ. წინააღმდეგ შემთხვევაშიდ იმათი მხედრობა და გამაგრებული ადგილები შეიძლება მალე ვიგდოთ ხელში და გამოვიყენოთ შესაფერისათ. ეს შეიძლება ჰოლანდიის და ბელგიას მოუვიდეს. ჩრდილოეთით ჩვენ არავითარი შიში არ უნდა გვქონდეს არც დანიისა არც სკანდინავიის სახელმწიფოთაგან. შესაძლებელია მხოლოთ რომ დანია ინგლისმა აიძულოს გამოვიდეს თავის ნეიტრალურ მდგომარეობიდან, მაგრამ ამისათვისაც საკმაო ზომები იქნება მიღებული.

დასავლეთით შვეიცარია ბუნებრივი სიმაგრეა და არავინ იფიქრებს მის ნეიტრალიტეტის დარღვევას.

ეგრეთვე არ არის ჩვენი მდგომარეობა დასავლეთის საზღვარზედ. აქ ჩვენი არსებობის ბედი არის დამოკიდებული იმისაგან, თუ როგორის სისწრაფით იქნება შემუსრული მტერი ომის პირველ დღეებშივე. ამისათვის საჭირო არის ამ მხრით დიდი არმიის ყოლება, [illegible] აიძულებს პატარა სახელმწიფოებს [illegible] ჩვენ მოგვემხრონ ან და თუ [illegible] მივიდა სწრაფათ შემუსრონ მათი მოწინააღმდეგობრივი ძალა. ეს მოსაზრება განსაკუთრებით ბელგიას შეეხება.

ყოველივე ამის აღსრულება არის ჩვენი არმიის მოვალეობა, რაც მოითხოვს მის რიცხვით აღმატებას. თუ მტერი ჩვენ თავს დაგვესხა, ჩვენ ესრევე მოვიქცევით, როგორც ჩვენი ძმები ასი წლის წინედ. გამომწყვდეული არწივი მაღლა აფრინდება, დაიჭერს მტერს თავის მძლავრ კლანჭებში და მას დაუკარგავს სურვილს წინააღმდეგობისას. და თუ ჩვენ ამ დროს გავიხსენებთ, რომ ბურგონის სამთავრო არის ერთი უმშვენიერესი ნაწილი, რომელიც კიდევ ფრანგების ხელშია რომ საუკეთესო ძმები ბალტიის პროვინციებისა წელში მოხრილი არიან სლავიანთა დაპყრობით, ეროვნული საკითხია დაუბრუნოთ გერმანიას, ის რაც მას ეკუთვნოდა.

ვერც უცნაური ღრიანცელი ფრანგების შოვინისტებისა შურის ძიების შესახებ, ვერც კბილების კრაჭუნი ინგლისელებისა და ვერც უაზრო ბოდვა სლავიანთა ვერ გადაგვახვევინებს ჩვენ ერთხელ დასახულ მიზნის მოსახწევ გზიდან, რომელიც არის გზა გერმანიის გაძლიერებისა და განდიდებისა.

ეს ომი მასისათვის მოულოდნელად დაიწყო და უნდა ვიფიქროთ, რომ ეგრევე მოულოდნელადაც გათავდება.

ბევრი ომები და რევოლიუციები იყო წინამორბედი ამ ათის წლის განმავლობაში თანამედროვე დიდ ომისა და საფიქრებელია, რომ მის გათავების შემდეგაც უნდა მოველოდეთ ამგვარსავე მოვლენებს როგორც ამ ევროპიულ დრამის უკანასკნელ მოქმედებას.

**გოჩა.**

# ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

✦ ვოლსკო-კამის ბანკის ქუთაისის განყოფილების მართველი ბ—ნი ა. ა. კოლაკოვსკი გადაიყვანეს ქ. განჯის ამავე ბანკის განყოფილების მართველათ. მეორე წელიწადია, რაც ბ-ნი კოლაკოვსკი ქუთაისის განყოფილებას განაგებს. მან ამ ხნის განმავლობაში ბანკის ოპერაციები ქუთაისში შესამჩნევათ გააფართოვა და დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება და პატივის ცემა. ქუთაისში მართველის ადგილზე, როგორც ამბობენ, ინიშნება მართველის თანაშემწე ბ-ნი ე. ჩხატარაიშვილი, რომელიც თავის მოვალეობას ყოველთვის პირნათლათ ასრულებდა.

✦ დღეს, 19 ივლისს, დღის 12 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარ-

---

აილო და ამის დანახვამ მთელი პოლკი სიხარულით აატირა. ასეთმა ,შესანიშნავმა ტელეგრამამ ძლიერ გაართო პარიზელები და პატარა ლუის იმ დღიდან სახელათ დაარქვეს „ბავშვი ტყვიით". ეს ის დრო იყო , როცა ყველანი ოხუნჯობდა და ხარხარებდა.

ორი დღის შემდეგ გაისმა ხმა დიდი გამარჯვებისა. ეს დღე შაბათი იყო. მე არასოდეს არ მინახავს ასეთი მშვენიერი დღე და ვერც ვნახავ. მთელი პარიზი სიხარულით აღტაცებული გიჟივით გარბოდა ქუჩაში და საით თვითონაც არ იცოდა.

უცნობნი ხელს ართმევდენ, ეხვეოდნენ ერთმანეთს და სიხარულით სტიროდენ. ბირჟის მოედანზე ბრბომ თავი მოიყარა და ქუდების ჰაერში სროლით გაჰყვიროდა. ახდილ ეტლში გამოიარა ქ-მა გეიმარმა, ის იცნეს და მოსთხოვეს მარსელიეზის სიმღერა, რომელმაც თავისი ძლიერი ხმით დაიწყო მღერა. 50 ათასმა კაცმა მას ხმა შეუერთა. ყველა სახლები ბაირაღებში ყვაოდა.

მთელი ქალაქის სიხარული სიგიჟეს უახლოვდებოდა, ორი საათის შემდეგ, უცბად ხმა გავრცელდა, რომ გამარჯვე სიცრუე იყო. ეს ამბავი ტყვიასავით სწრაფად გავრცელდა მთელ ქალაქში. მისცვივდენ სამინისტროსთან, რედაქციებთან ყველგან, საიდანაც კი მართალს ცნობას მოელოდნენ იძულებული გავხდით შევრიგებოდით უეჭველს ფაქტს: მოჩვენებული გამარჯვება ბისმარკის მისტიფიკაციი გამოდგა, რომელსაც, უეჭველია, ართობდა პარიზელების მჩალტე რწმენა.

უკიდურეს სიხარულიდან, ხალხი უკიდურეს სიბრაზეში ჩავარდა. ბრბო უეჭველათ გათხლეშდა მინისტრებს იმ წუთში, რომ ხელში ჩავარდნოდათ.

მალე ეგ აღშფოთება, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე პარიზში, ოხუნჯობაზე შეიცვალა. მეორე დღეს ყველანი ამბობდენ, რომ მათ სრულიადაც არ სჯეროდათ გამარჯვება და ამით იმშვიდებდენ თავიათ თავ- მოყვარეობას. ამ ეპიზოდზე იმისთვის შევჩერდი, რომ მხოლოდ ამ შემთხვევით შეეძლო მაყურებელს ნათლად დაენახა, პარიზელების ხასიათის სიმჩალტე, როგორ ბრმათ ემორჩილებიან ისვნი სხვადასხვა ემოციას და რამდენათ სახიფათოა მათ გონიერებაზე დანდობა.

მათ იპყრობს მხოლოდ კაპრიზი, ეს უკანასკნელი არკვევს მათ მოქმედებას; და როგორც ზღვის ტალღები ნავს, ისე ისვრის მათ ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში, სუბუქი რწმენიდან ღრმა თავდავიწყებაში. უნდა ვაღვიარო, რომ ამ ინციდენტმა ძლიერ დამიკარგა რწმენა, ამ ხალხის მიერ სულიერი ძალის გამოჩენაში გაჭირების დროს. მხოლოდ ვერ წარმოვიდგენდი ყველა იმ უბედურებას, რომელიც ჩვენ ერთი მეორეზე დაგვატყდა თავზე: გენერალ დუეს დამარცხება და სიკვდილი, ექვსი დღის შემდეგ ვერტთან საუკუნო სახსოვარი მოვლენა,—გაწყვეტა მაკ-მაგონის არმიისა და გახეთქილ ადგილიდან გერმანელი ჯარის გადმოლახვა. ეჭვი არ იყო, რომ მათ პარიზზე იერიში მიჰქონდათ. იმ დღეს მხოლოდ პირველად გამოირბინა პარიზელების თვალ-წინ ალყის აჩრდილმა, თუმცა მათ არ იცოდნენ სინამდვილე. ისინი არ ფიქრობდენ, რომ იმ სამი თუ ოთხი ათას ჯარისკაცს, რომელიც გადმოყარეს საფრანგეთზე მიემატებოდა კიდევ ახალი 100 ათასი, და მალე მთელი ძველი გერმანიის მამაკაცები გვეწვეოდა. მიუხედავათ ამისა, მაინც გრძნობდენ, რაღაც განსაცდელის მოლოდინსა და აღშფოთებული შეუდგენ ორი საშუალების „სისრულეშ მოყვანას: I. პარიზის სიმაგრეების უზრუნველ ყოფას. II, 8 რაც შეიძლება მალე გერმანელების პარიზიდან გაძევებას. ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ეკონომისტები მეცნიერულათ გვიმტკიცებენ, რომ გერმანელის პარიზიდან გარეკვა დიდი შეცდომაა. ვინღა დაგვის მათ შემდეგ ქუჩებს, ვინ შეკერავს ფეხსაცმელებს, ტანისამოსს, ვინ მოაწყობს საფინანსო ოპერაციებს და სხვა, თუ არ ეგ ლუდის მოყვარულნი საამური ჰაბუკები. თავიანთი მრეწველობით უკანასკნელმა გაგვამდიდრა ჩვენ, და დიდი ცოდვა იქნებოდა სეის პრინციპის წინააღმდეგ, რომ თავიდან მოგვეშორებინა ასეთი კეთილის მყოფელნი. აგრე მსჯელობდა გავლენიანი შევალდე ინსტიტუტის წევრი, სენატორი, მოციქული თავისუფალ აღებ-მიცემის თეორიისა და მფარველი ანგელოზი სამუდამო ზავისა.

ჟურნალისტები სწერდენ, რომ პარიზის ალყას მილიონ ნახევარი კაცი დასჭირდება. სიმაგრე, რომელიც სანოვაგის გზებით უზრუნველ-ყოფილია, მისი აღება მხოლოდ იერიშით შეიძლება და, თუ ამას გერმანელები ინებებენ, მობრძანდენო—გაიძახოდენ.

ანგარიშობდენ სათადარიგო ჯარს, ლაპარაკობდენ ეროვნულ გვარდიის სიგმირეზე, რომელშიაც 400 ათასი კაცი უნდა ყოფილიყო.

— ჰო მობრძანდენ, მობრძანდენ! მათ ვაყურებინებთ სეირს. იძახდა პარიზი.

ასეთი ზღაპრებით ირთობდენ თავს, რომელიც ყველას სინამდვილეთ მიაჩნდა.

ჩვენ არ ვაძლევდით თავს კითხვას: მართლაც შეიძლება თუ არა ამ სიმაგრეების დიდათ დანდობა. არა ჩვენ ყველანი მოცული ვიყავით წინასწარ აღებული აზრით, რომ მტერს არ შეეძლო პარიზის შეხება. ეგ უცნაური აზრი ჩვენს გონებაში არ თავსდებოდა. სამშობლოს უწმინდესი მიწა უწინ გასკდებოდა და შთანთქავდა პრუსსიელებს, ვიდრე მას ამ გვარათ შეაგინებდენ.

არის ხალხი, როგორც ინდივიდი, რომელსაც ბუნებრივი მიდრეკილება აქვს სევდისადმი და ძნელი აჩრდილი ელანდება, პარიზელები კი წინააღმდეგ სავსეა რწმენა იმედებით და არაოდეს არ შეხვდენ თვალში ასეთ სინამდვილეს, რომელიც მათ უსიამოვნო გრძნობას მოგვრისთ. ისინი წააგავენ სირაქლემას, რომელიც თავს ჩარგავს ხოლმე ქვებში, როცა მას მონადირე მიზანში იღებს, რომ თვალით არ დაინახოს მომდგარი უბედურობა.

ყველა გაზეთები თითქო ერთმანეთში მოილაპარაკესო, სტყუოდა და ელაქუცებოდა ეროვნულ პატივ-მოყვარეობას. შეუძლებელი იყო მისი დამალვა, რომ გერმანელები იმარჯვებდენ და ყოველ ჩვენ ჯართან შეხვედრაზე გამარჯვება მათ მხარეზე რჩებოდა. მაგრამ გულს მაინც არ იტეხდენ და მზათ ჰქონდათ მთელი არსენალი განმარტებისა და ბოდიშობისა, რომ დაეშოშმანებინათ ჩვენი მოშხამული თავ-მოყვარეობა. ამისავის თვით დამარცხებაც ჩვენი, მტრის გამარჯვებაზე უფრო დიდებული იყო. ვერტის ბრძოლა სურათდებოდა, როგორც ტრიუმფი ჩვენთვის: ერთხმათ ადიდებდენ ჩვენი ჯარის უკან დახევას და მის სიგმირეს.

ედმონდ აბუ, რომ დაბრუნდა მან გულუბრიყვოთ გვაუწყა, რაც ენახა რეიხსგოფის ბრძოლის შემდეგ,—მაკ-მაგონის ჯარის დაშლა, ზუავების იარაღის დაყრა, ლოთობა, ძარცვა-გლეჯა, გენერალების ჭკუის დაკარგვა, რომ ფრანგთა მიწები ასი ვერსის მანძილზე მტერს უბრძოლველათ ხელში უვარდება და სხვა.

ასეთ ამბვის ჩამოტანის შემდეგ, მას დაარქვეს სახელათ პრუსსიელი. არის ისეთი სიმართლე, რომლის გამხელა ევროპაში სამშობლოს ღალატათ ითვლება. როგორ შეეძლოთ იმ აზრის შერიგება, რომ ალმის გმირები, გმირები მადჟენტისა და სოლფერინოსი ეგრე სამარცხვინოთ გამოიქცეოდენ ამ გველების წინაშე.

დიაღ, გველები! ჩვენ აგრე ვეძახდით მათ. ვანდალებს, გუნებს და სხვას. თავზე ვაყრიდით ყველა იმ წყევლა-კრულვას, რაც კი მოიძებნებოდა ლექსიკონსა და ისტორიაში. და ამაში ჩვენ ძლეირ გულ-წრფელი ვიყავით. საუბედუროთ, ძრიელ ცოტანი ანგარიშობდა მას, თუ რამდენათ წინ წაიწია ამ პატარა, საბრალო პრუსსიამ, როგორ ამაყათ დადგა იგი ფეხზე, არა თუ სამხედრო საქმეში, არამედ მეცნიერებასა და ხელოვნებაშიაც.

ჯერ კიდევ 1843 წ. მაკოლეიმ ამ ბრძენმა, ღრმა მოაზროვნე და გამჭრიახმა მხედველმა აღიარა, რომ პრუსიის მონარქია ყველაზე უფრო ყმაწვილია ევროპიელ მონარქიათა შორის და თავის ნიჭით სწავლა-განათლებისადმი ის დაიჭერს მეორე ადგილს ინგლისთან ერთათ. ჩვენ არც კი უხსენებივართ მას. რასაკვირველია მაკოლეი სცდებოდა, და იმისთვის, რომ მას როგორც ინგლისელს არ ვუყვარდით ფრანგები, სიძულვილი კი აბრმავებს ადამიანს. მაგრამ, როგორ გაგვაკვირვა ჩვენ ამ აზრის გაგონებამ, გამოთქმულმა იმ პირისაგან, რომელსაც მთელი ევროპა საუკეთესო ღრმა და მიუდგომელ მოაზროვნეთ სთვლიდა! ჩვენ დიდებული ერი და მესამე ადგილზე?

ჩვენ, რომელსაც თავი ევროპის ცენტრათ გვეგულებოდა, საითკენ მიქცეული იყო კაცობრიობის თვალთა ხედვა. ჭეშმარიტათ დიდი უბედურობა უნა დატრიალებულიყო ჩვენს თავზე, რომ შევრიგებოდით ასეთს შეურაცმყოფელს სიმართლეს.

**ქატო მიქელაძე.**

შემდეგი იქნება.

ბაზში მოხდება პირველი კრება ქუთაისის გუბერნიის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტისა. კრებაზე არჩეული იქნება კომიტეტის წევრები და თავმჯდომარე. კავკასიაში ეს პირველი განყოფილება იქნება მთავარი კომიტეტისა.

✦ ქ. ფოთის სახლების პატრონებმა ფინანსია სამინისტროში შუამდგომლობა აღძრეს, რადგანაც უძრავი ქონებიდან შემოსავალი თითქმის სულ არ არის, ამიტომ გადასახადი ნაწილ-ნაწილათ გადაახდევიონ ომის გათავებამდის.

✦ ქუთაისის მაზრიდან 1896 წ. დაბადებულ ახალგაზდა ჯარის კაცთა გაწვევა 1 სექტემბრიდან დაიწყება.

✦ 21 ივლისს, შავიქვის მრეწველთა საბჭო მთელი შემადგენლობით მიემგზავრება დ. ჭიათურაში სხდომების გასამართავათ. სხვათა შორის გაირჩევა საკითხი შავიქვის მრეწველთა საზოგადო კრების მოწვევის შესახებ.

✦ ქუთაისის დრამატიულმა საზოგადოებამ განმეორებითი უარი მიიღო დახმარებაზე ბანკის გამგეობისაგან.

✦ გუშინ, 18 ივლისს, შავიქვის საბჭოს დარბაზში მოწვეული იყო დრამატიული საზოგადოების გამგეობის კრება, მომავალ სეზონისათვის დასის მოწვევის შესახებ.

✦ რაჭა-ლეჩხუმისაკენ ეტლების მიმოსვლა წყალდიდობით წახდენილი გზების გამო, მხოლოდ ალპანამდის სწარმოებს.

✦ გუშინწინ, 17 ივლისს, შავიქვის საბჭოს დირბაზში დანიშნული იყო ქ. შ. წ. კითხ. გამავრცელიბელი საზ. გამგეობის მორიგი კრება. მაგრამ კრება წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ მოხდა.

✦ ქალაქის გამგეობამ ბუღალტერის თანამდებობის ასრულება დროებით მიანდო ა. ი. იოსელიანს.

## ხმა საზოგადოებიდან.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის დირექტორის ბ. ი. ოცხელის განკარგულების გამო, რომლითაც დათხოვნილ იქმნა მასწავლებლობიდან გაზეთი „სამშობლოს“ რედაქტორი ბ. ი. ცინცაძე (ია ეკალაძე)—წავიკითხე სხვადასხვა პრესის შენიშვნები ბ. ი. ოცხელის მოქმედებაზედ, რომელსაც უსაფუძვლოდ სთვლიან თავისი შენიშვნებში.

მართლაც გასაკვირველად უნდა მივიჩნიოთ თვითმნებლობა ბ. ი. ოცხელისა, ვინაიდან ეს გამოუწვევია ძმათა ოცხელების სავაჭრო მაღაზიაში უთანხმოებას საწერი ქაღალდის ვაჭრობაში ბ. ი. ცინცაძისა და მოხსენებულ მაღაზიას შორის. ეხლა უნდა ვიკითხოთ—რად მოხდა ასე, რომ ვაჭრული ანგარიშები შევიდა საგანმანათლებლო დაწესებულების კარებში, საიდანაც უნდა იფინებოდეს კეთილი და სათნოიანი მაგალითები და არა ანგარიშიანი—სხვაგვარად სახეში მისაღები მოქმედებანი!

მე თვით პირადად, როგორც ვეცნობი ამაზე პრესის აზრს და თანაც ბ. ი. ოცხელის მიერ თავის გამართლების წერილს, უნდა აღვიარო ჩემი შეხედულება, რომ ამ მხრით ბ. ი. ოცხელი საკმაოდ ვერ იმართლებს თავს. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ რაც გამართლებული არ არის—ის მტყუანია, და ვინც ამ შემთხვევაში მტყუნდება იმას ხომ თავზე ატყდება უსამართლო მოქმედებაც. ამისთვის როგორც ქართული საიზნაურო გიმნაზიის დამაარსებელთა ერთი წევრთაგანი ნებაცა მქონდეს ვსთქვა, რომელ ყოველივე უკანონობა რაც მოხდება გიმნაზიაში უეჭველად საგრძნობელია ზნეობრივი მხრით ყველასათვის და განსაკუთრებით სასწავლებლის ხელმძღვანელთათვის, ხოლო დიდათ მავნებელიც თვით გიმნაზიის სახელისათვის. აი, სწორედ ამას უნდა საპასუხისმგებლო ანგარიშის გაწევა. რაც შეეხება ბ. ი. ცინცაძეს—ამას კარგათ უნდა იცნობდეს ბ. ი. ოცხელი, რომელ იგი დიდი ხანია სინიდისიერად ემსახურება საზოგადოდ ქართულ სალიტერატურო მწერლობის საქმეს სასარგებლოდ სამშობლო ქვეყნისა. ამის მტკიცება არ სჭირია და ყოველი ამის წინაამდეგი კი უარმყოფელად ჩაითვლება ჭეშმარიტებისა. მაშ, თუ მივიღებთ მხედველობაში ამა კეთილმოღვაწეობასაც—მაშინ ხომ უმეტეს უსამართლოება იქნებოდა ბ. ი. ცინცაძის დათხოვნა მასწავლებლობიდან, რაკი არაფრით მტკიცდება, რომ ეს დაემსახურებიოს მას.

**თავადი როსტომ ჩიქოვანი.**

## საყურადღებო დოკუმენტი თვითნებობისა.

ქუთაისის სათავად-აზნაურო ქართული გიმნაზია № 390, 2 ივლისი 1915 წ. ქ. ქუთაისი.

დიდათ პატივცემულო ბატონო სიმონ!

გაკვეთილების განაწილება დღეს მოვათავეთ. გეომეტრიის 6 გაკვეთილი მე ავიღე; დანარჩენი 21 გაკვეთილი სოლ. წერეთელს მივეცი. ალგებრის გაკვეთილები და ტრიგონომეტრია—კოსმოგრაფიის ძლივს ეყოთ შარაშენიძეს და ჩემს ძმას—სიმონს. არითმეტიკის გაკვეთილებზე არაფერს მოგახსენებთ.

ამის მიხედვით თქვენთვის გაკვეთილების მოცემას 1 სეკტემბრიდან ვეღარ ვახერხებ. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ სამი კლასი გვეხურება.

მერწმუნეთ, ბ. სიმონ, რომ დიდის გაჭირვებით გწერთ ამას და, თუ დამიჯერებთ, რომ მე თქვენდამი ყოველთვის ვგრძნობდი პატივისცემას და მადლობის მეტი არაფერი მეთქმის და რომ აქ ტეხნიკურ მოუხერხებლობის მეტს სხვას არაფერს აქვს ადგილი,—მე უფრო ადვილით შევხვდები თქვენს ჩვენზე დაშორებას.

თქვენი პატივისმცემელი ი. ოცხელი.

P. S. ეს წერილი მისწერა ბ-მა ოცხელმა დამსახურებულ მასწავლებელს სვიმონ ეზიკაშვილს, რომელიც ი. თ. ცინცაძესთან ერთად იქმნა დათხოვნილი გიმნაზიიდან, წერილში აღნიშნულ საბუთების გამო. **რედ.**

## ილია ხონელი.

არიან ადამიანები, რომელთა სახელის ხსოვნა ისევე ცხოველი უნდა იყოს ჩვენში და ისევე უნდა ვიხსენიებდეთ მათ, როგორც ვიხსენიებთ წმიდანებს. მოგონება მათის სახელისა წლიდან წლამდე მიტომ არის საჭირო, რომ არ ჩაგვიქრეს სული ჩვენი რწმენისა, რომ მათის მოგონებით და ამ მოგონების წყალობით მოგვიახლოვდეს მაგალითი სიმართლისა, სიგმირისა და თავდადებისა. დღეს შესრულდა თხუთმეტი წელიწადი, რაც გარდაიცვალა ილია ხონელი. უძველესი ქართული ხონი, სადაც ხალხი ისე ენერგიულია და სადაც დღემდის დაცულია უძველესი ქართული ჩვეულება პარასკეობით ქალებმა პირახვეულებმა იარონ—თითქმის მუდამ სინონიმი იყო ფსევდონიმისა. ამ ქალაქის სახელით შეიმოსა თავისი თავი ოდესღაც ჩვენმა დიდმა მწერალმა მოსე ხონელმა და მის სახელსვე შეაფარა თავი ნიჭიერმა და პატიოსანმა ილია ბახტაძემ—ლიტერატურაში ილია ხონელათ ცნობილმა.

ჩემთვის, ამ სტრიქონების დამწერისთვის და საზოგადოთ ახალგაზდებისათვის ილია ხონელის სახელი მკვდარი ოდნობაა. ჩვენ არ გვიცხოვრია მის დროს. მაგრამ ჩვენ მემკვიდრეობით გადმოგვეცა ის იდეა, რომელსაც ემსახურებოდა იგი და ხსენება მისი ისევე ცხოველია მის მომსწრეთა შორის და ქართულ აზროვნებაში, როგორც ცხოველად მწვავეა ხოლმე ვარდის ბუჩქი, რომელსაც ვარდის ერთი ფურცელი დავარდა. განსვენებული მწერალი უმთავრესათ რუსულად სწერდა. ჩვენს დროს, როცა ქართული კულტურის საჭიროება უსათუოდ მოითხოვს, რომ პატრიოტმა ქართველმა და მეტადრე ისეთმა პატრიოტმა, როგორც იყო ილია ხონელი, ქართულად სწეროს—ბევრს უცნაურათ მოეჩვენება, მაგრამ ფაქტი, რომ ნიჭიერი მწერალი, რომლის ნაწარმოებნიც ეხლაც იმავ ცხოველმყოფლობით ბრწყინავს, როგორც მაშინ, როცა ისინი იწერებოდნენ და იკითხებოდნენ—რუსულად ადვილი ასახსნელი და გასაგებია თუ მივიღებთ მხედველობაში მაშინდელ ქართული ცხოვრების მთელ მორთულობას. როდესაც ჩვენს დროში მესმის, თუ როგორ იხსენიებენ ყველა მათ, ვინც რუსულად სწერს, ან ლაპარაკობს, მე მსურს ამ დამაწყევართ ერთი რამ უთხრა: ბატონებო, მიეცით საშუალება მათაც, რომ გამოიჩიკნონ ამ რუსულ კვერცხიდან, რა დამნაშავენი ვართ ჩვენ, რომ ბედმა ამ რუსულ კვერცხში ჩაგვდო. და დიდება მათ, ვინც ამ კვერცხიდან გამოჩეკილი, მიუხედავათ გარეგნობისა, მაინც ქართულ სულს გამოიჩენს ხოლმე. ასეთი იყო ილია ხონელი!

მაგრამ იყო სხვა მიზეზებიც და უფრო ღრმაც, რის გამოც იგი ჩამოშორდა ქართულ პრესას. იგი დაშორდა ჭავჭავაძის „ივერიას“ და ამ დაშორებას პრინციპიალური ხასიათი ჰქონდა. შემდეგ ივანე მაჩაბლის „დროებაში“ მუშაობდა, მაგრამ არც ეს იყო ხანგრძლივი. ეხლა დრო არ არის ამ მიზეზების გამორკვევისა. ის დრო, როცა ილია ხონელი მოღვაწეობდა ერთ საინტერესო დროთ უნდა ჩაითვალოს ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრებისა. მაგრამ ამასთანავე ეს იყო ის დროც, როცა მაშინდელმა დუხჭირმა პირობებმა ბევრი მოღვაწე გარიყა ცხოვრებიდან. ამ დუხჭირ პირობათა ერთ ერთ მსხვერპლათ განსვენებული მწერალიც უნდა ჩაითვალოს და იგიც განშორდა ქართულ პრესას. ამის შემდეგ მას შეეძლო ეთქვა: მე არ მქონდა ჩემი ეკლესია და იძულებული ვიყავ სხვის ეკლესიაში მეარნა, მაგრამ ამ სხვისაშიაც მხოლოდ ჩემს ღმერთს ვლოცულობდიო. და ისიც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე და სიკვდილის პირველ წუთამდი საქართველოზედ სწერდა. სწერდა მის ტოლვილებაზედ, მის უმადურ ბედზედ, მის ბრწინვალე წარსულზედ.

ჩემს წინ სდევს მისი წიგნი. დაწერილია ოცი წლის წინეთ და შეეხება ასოცი წლის ამბავს. ვისაც შეძლება ჰონია ასე გაეცოცხლებინა ჩვენს წინ წარსული, ვისაც მინიჭებული ჰქონია ნაზი სული, ასეთის საუცხოვო ყვავილებით შეემკო საფლავნი სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა, ღირსი იყო ეხლაც ჩვენს შორის ყოფნისა. კრწანისის ბრძოლის ასი წლის თავზე, რომელსაც შეეხება ზემოაღნიშნული წიგნი და კრწანისის ბრძოლის ასი წლის დღეს, ილია ხონელი ყველაზედ დიდი ზარი იყო, რომელიც უძახდა ქართველობას ჩვენის პოლიტიკური ბედის დიდ პანაშვიდზე. ამ დღეს მან მთელის თავის გაშმაგებით გაიხსენა აღა-მაჰმად-ხანი, რომელსაც იგი მიზეზად სთვლიდა თავის სამშობლოს პოლიტიკურ უბედობისა და მთელ შემდეგ უბედურობისა, მაგრამ ამავ დღეს იგონებდა ირაკლისაც და დამარცხებულ მეფის დიდ სახელს, მადლობის და მის წინაშე ალტაცების ნიშნად, თავისი სულის ია-ვარდით ამკობდა. ნიჭიერი და ფაქიზი კამათობის დროს—ის დაუნდობელი იყო, როცა ვინმე მას წმიდათა-წმიდას შეეხებოდა და ამ მხრივ, სხვა მრავალ მის ნაწერებთა შორის, შესანიშნავია მისი „ასპინძის გმირი“ ხეჩაგოგის „სამსაჯვროს წინაშე“.

იყო რა თავგამოდებული მსახური მაღალ იდეებისა, მას არაფერი არ წაუღია ცხოვრებისგან, არც სიმდიდრე, არც ფუფუნება, არც პირადი ბედნიერება, მოკვდა ჯერ კიდევ ცხოვრების უნარით აღსავსე თავის სამწერლო ნიჭის გაფურჩქვნის დროს და დაგვიტოვა ანდერძათ უანგარო სამსახური სამშობლოს წინაშე. და ჩვენ მოვალე ვართ ჩვენც ისე წმინდათ და თავგანწირულათ ვატაროთ ის დროშა, რომელიც მას ეკავა ხელში.

**შ. ამირეჯიბი.**

## † მელიტონ გერიშვილი.

(მუშა ბეჟანი)

დღეს ქუთაისის მუშები სამუდამოთ ეთხოვებიან მისი ინტერესების დამცველ მელიტონს, რომელსაც მეტ სახელათ მუშა ბეჟანს ეძახოდენ. მელიტონმა 1903 წლებში შედგა ფეხი თვითცნობიერების გზაზე და ამ წლებიდან დაწყებული სიკვდილამდე ის გამუდმებით იდგა მოწინავე მუშათა წრეში და მთელი ენერგიით დაუღალავათ ემსახურებოდა სახალხო საქმეს.

მელიტონი, როგორც მოწინავე მუშა ყველა ქუთაისის საზოგადო დაწესებულებაში იღებდა მონაწილეობას. ფხიზლად ეტანებოდა გაზეთის გავრცელების საქმეს, იყო ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრათ და როგორც წევრი გამგეობისა დიდ უნარს იჩენდა მუშებისათვის სახალხო ლექციების და კითხვის მოწყობაში.

## დაბა-სოფლები

**ს. სვირი.** (ინტელიგენტების საყურადღებოთ). ამ სოფელს ჩრდილოეთით ჩაუდის მდინარე ყვირილა. ყოველ გაზაფხულზე მშვიდათ მიმდინარე ჩვენი ყვირილა ფერს იცვლის ხოლმე, მოდიდდება და ვით განრისხებული გმირი გადალახავს თავის ნაპირებს. ამ დროს საშინელ სურათს წარმოადგენს ზემო აღნიშნული მდინარის მარჯვენა მხარეს მდებარე ადგილები, ეგრეთ წოდებული ხოხოულა; ეს უკანასკნელი სვირელების საუკეთესო სავანე ადგილია.

წელს კი წყალ-დიდობა ძალიან ხშირი მოვლენაა. ორი დღე არ გაივლის ისე, რომ წყალმა არ მოიმატოს, არ გადმოვიდეს თავის კალაპოტიდან და ბუნების საშინელმა სტიქიამ თავზარი არ დასცეს მშვიდობიან მცხოვრებლებს. შვიდ (7) ივნისს ყვირილა ძალზე ადიდებული მოვარდა და თავის კალაპოტი ერთიორათ გააფართოვა.

საღამოს ჟამი იყო.

შრომისაგან დაღლილი გლეხები მოადგნენ აზვირთებულ მდინარეს სოფლისკენ გამოსასვლელათ. შეიქნა ყოყმანი მუშებში—დარჩენილიყვნენ იმ ღამეს წყ ლის გაღმით, თუ არა?

ერთმა სთქვა: „დავრჩე? ღამის სიცივეს და შიმშილს მაინც როგორღა დავემალებიო“.

ამ აზრით გამხნევებული ის შეიჭრა ფაფარ აყრილ მდინარეში. კარგა ხანს გაუწია მან მეტოქეობა წყლის ძალას; და—ბოლოს სძლია უკანასკნელმა და აზვირთებულ ტალღებს მისცა ღარიბი მუშა.

გაისმა საზარელი ხმით ყვირილი: „მიშველეთ, მიშველეთ, ვის გწამს ღმერთიო“.

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. დაედევნენ მცურავები მდინარის ორივე ნაპირიდან და ძლივს გადაარჩინეს დახრჩობას საბრალო გლეხი.

ასეთ შედეგს იწვევს ყოველი წყალდიდობა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე ძალიან ხშირი მოვლენაა წელს. ამიტომ მდ. ყვირილაზე ხიდის გაკეთება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, თუ გვინდა თავიდან ავიშოროთ უბედური შემთხვევაში პირველი როლი სოფლის ინტელიგენციამ უნდა შეასრულოს. მან უნდა შემოიკრიბოს თავის გარშემო ხალხი და მათი დახმარებით ყვირილაზე ხიშემთხვევები წყალ-დიდობის დროს. ამდი უნდა გაკეთდეს. მაგრამ, სამწუხაროთ, თვით ჩვენს ინტელიგენტებში ვერ ვპოვებთ სოლიდარობას და ამიტომაც ყოველი საზოგადო საქმე სოფლათ და ქალაქებშიაც კი კუს ნაბიჯით მიდის წინ. განსაკუთრებით ასეთი ქიშპობა გამეფებულია სვირის ინტელიგენციაში: ერთი რომ რამე საქმეს დაიწყებს, მეორე უთუოდ მისი ხელის შემშლელი იქნება, ამას რომ ვსწერ ძალა-უნებურათ მაგონდება სვირის ორ-კლასიანი შკოლის ზედამხედველის, გ. ჯუღელის ინიციატივით დაწყებული პლატფორმის საქმე.

საზოგადოებისადმი კეთილის სურვილით გამხნევებულმა ადამიანმა დიდი ხანი სდია ამ საქმეს, ბევრი ღვაწლი დასდო მასზე და დღეს ძლივს-ძლივობით დაანახვა ხალხს, რომ მათგან აღებული ხვედრი ფული არ გაფლანგულა ისე, როგორც მაზე ხმა გაავრცელეს, არამედ მოხმარდა იმ საქმეს, რაც მის და აგრეთვე მთელი საზოგადოების [illegible] გენდა.

ახლა მოგმართავთ პატივცემულო ინტელიგენტებო თავი დაანებოთ ერთმანეთში კინკლაობას, შურს და მიაქციოთ საზოგადოების ყურადღება იმ აუცილებელ საჭიროებას, როგორიც არის მდ. ყვირილაზე ხიდის გაკეთება; გამოიჩინეთ ამ შემთხვევაში შესაფერისი უნარი, რათა ხალხმა იქონიოს თქვენზე ნდობა და არ დაიხიოს უკან სხვა რაიმე კულტურული დაწესებულების დაარსების დროს.

Mementote.

## ომში დაჭრილნი და ავათმყოფნი ჯარის კაცნი.

(იმყოფებიან ოლვიოპოლის ლაზარეთში.)

აბულაძე გერასიმე, აბესაძე იუსტინე, აბესანაშვილი ალექსანდრე, ბუაჩიძე ამბროსი (ამბერკი), ბასილაძე ივანე, ბერძენიშვილი კვიროსი, გვალაძე ლეონტი, ღვაბერიძე ლავრენტი, მორჩაძე მინა, მაღალაძე?, თაბრუდაშვილი ალექსი, ყულაძე ლეონტი, მეტრეველი ისაკ, უნაშვილი მიხეილ.

წერილები და სხვა ამანათები უნდა გაეგზავნოს ამ მისამართით:

Ольвіополь Херс. губ. Лазаретъ Всероссійскаго Земскаго Союза въ зданіи гимназіи.

გიმნაზიის მასწ. **ა. ჩხენკელი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციას.**

წარმოგზავნილი ამასთანავე სამას სამოცდა ერთი მანეთი, თერთმეტ ივნისს „ფინჯანი ჩაიზე“ გამართულ საღამოს შემოსავლისა, გთხოვთ გარდასცეთ კუთვნილებისამებრ ომისაგან დაზარალებულ აჭარელ ქართველ მაჰმადიანების სასარგებლოდ *)

**დავ. ნიჟარაძე.**

*) ეს ფული შეტანილია ქუთაისის საურთიერთო ბანკის კასაში, რის შესახებაც სათანადო კვიტანცია მიღებული № 799. **რედ.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე**

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

**მიღებულია დიდძალი**

**საპნის გასაკეთებელი „სოდა“**

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფესები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი**

**ქართული და რუსული** სახელმძღვანელო **წიგნები,**

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.

**სადგურ ხრესილში („სერნია ვოდში“) ტყიბულის რკინის გზ. შტოზე.**

**სამკურნალო აბანო**

**პ. ვ. ობოლაძის.**

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 მაისიდან **გაიხსნა სეზონი.** ეს წყალი როგორც გამოკვლეულია, კურნავს მრავალ სხვა და სხვა ავათმყოფობისაგან და უმეტესათ კი: ქარების (რევმატიზმის), თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარიისაგან) და აგრეთვე ძალ-ღონეს მატებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხსენებული აბანო არის სადგურიდან დაშორებული 100 საჟენით. იქვეა სუფთა ბინები. ხელმისაწვდომ ფასებში. აბანო მუდმივ მუშაობს. სანოვაგეც ყველაფერი იშოვება. მატარებელი გადის დილა და შვადღეზე. თ.